წალენჯიხა 27 მარტი 2023 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი N4

2023 წლის 27მარტს გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რომან კვარაცხელია. ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაია მიქავა, მამუკა მიქავა, ომარ ქარდავა.

დაწყების დრო: 12:00-სთ.
დასრულების დრო: 12:10-სთ

დღის წესრიგი:

1.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურისთვის მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების შემდეგ ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ.

პროექტის წარმომდგენი: ელენე ბერაია,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსის მ/შ.

სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რომან კვარაცხელიამ სხდომას გააცნო დღის წესრიგი. საკითხი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურისთვის მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების შემდეგ ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსმა ელენე ბერაიამ.
საქართველოს კანონში „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში“ განხორციელდა ცვლილება რომლის თანახმად, განისაზღვრა მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანოს ვალდებულება, რომ მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების შემდეგ ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის მიზნით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესით, არანაკლებ თვეში ერთხელ შეამოწმოს შესაბამისი მშენებლობა. ამასთან, ამავე ცვლილებით მუნიციპალიტეტის

საკრებულოებს დაევალათ 2023 წლის 1 აპრილამდე დაადგინონ საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობისკოდექსის 136-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული წესი.

პროექტის მიხედვით ზედამხედველობის სამსახური ვალდებულია 2023 წლის 1 აპრილიდან მიღებული მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის მიზნით, არანაკლებ თვეში ერთხელ შეამოწმოს შესაბამისი მშენებლობა. შემოწმება, თავის მხრივ გულისხმობს ზედამხედველობის სამსახურში დასაქმებული პირების მიერ, მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მითითებული შეჩერებული სამშენებლო სამუშაოების გაგრძელების ან სამართალდარღვევის აღმოფხვრა/გამოსწორების შემოწმებას.

ამ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს შენიშვნები და წინადადებები არ ქონიათ და საკითხი ჩათვალეს საკრებულოს სხდომაზე გასატანად მომზადებულად.

ამით საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე — რომან კვარაცხელია